ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 204 (18746) კვირა, 4 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1983 წლის პირველი ნახევრის გამარჯვებულად ცნეს:

პირველ ზონაში

გარდაბნის რაიონი — პირველი ადგილი
წითელწყაროს რაიონი — მეორე ადგილი
საგარეჯოს რაიონი — მესამე ადგილი

მეორე ზონაში

ლენინგორის რაიონი — პირველი ადგილი
მცხეთის რაიონი — მეორე ადგილი
ჭარელის რაიონი — მესამე ადგილი

მესამე ზონაში

დმანისის რაიონი — პირველი ადგილი
ადიგენის რაიონი — მეორე ადგილი
ახალციხის რაიონი — მესამე ადგილი

მეოთხე ზონაში

ორჯონიკიძის რაიონი — პირველი ადგილი
ცაგერის რაიონი — მეორე ადგილი
ლენტეხის რაიონი — მესამე ადგილი

მეხუთე ზონაში

თერჯოლის რაიონი — პირველი ადგილი
ზესტაფონის რაიონი — მეორე ადგილი
ქ. ტყიბულის ზონა — მესამე ადგილი

მეექვსე ზონაში

გეგეჭკორის რაიონი — პირველი ადგილი
აბაშის რაიონი — მეორე ადგილი
ცხაკაიას რაიონი — მესამე ადგილი

მეშვიდე ზონაში

ქობულეთის რაიონი — პირველი ადგილი
გულრიფშის რაიონი — მეორე ადგილი
გალის რაიონი — მესამე ადგილი

ამასთან აღინიშნა შემდეგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა:

— წალკის რაიონისა, სადაც ვერ შეასრულეს ხორცისა და რძის დამზადების გეგმა;

— გორის რაიონისა, სადაც ვერ შეასრულეს რძისა და კვერცხის დამზადების გეგმა;

— თიანეთის რაიონისა, სადაც ვერ შეასრულეს რძისა და მატყლის დამზადების გეგმა;

— სიღნაღის, ახმეტის და ლაგოდეხის რაიონებისა, სადაც ვერ შეასრულეს რძის დამზადების გეგმა;

— თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებისა, სადაც ვერ შეასრულეს მატყლის დამზადების გეგმა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს (ამხ. რ. ურჯუმელაშვილი) დაევალა გამოყოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების 80 საგზური იმ რაიონებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დაჯილდოებისათვის, რომლებმაც საარიზო ადგილები დაიკავეს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო გამოუყოფს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს 112 მსუბუქ ავტომობილს და 35 იმპორტული ავეჯის გარნიტურს, რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებისათვის რიგგარეშე მისაყიდად. (საქინფორმი).

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მუშაკთა აქტივის კრება

3 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა უმაღლესი სკოლის აქტივის რესპუბლიკური კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პროორექტორები, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები, პროფკავშირული კომიტეტების თავმჯდომარეები, ფაკულტეტებისა და კათედრების ხელმძღვანელები, პროფესორები და მასწავლებლები, ახალგაზრდობის პედაგოგ-დამრიგებლები. მათ განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. პ. საყვარელიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სამმართველოს უფროსი გ. გ. კვასოვი, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხეიძემ, რომელმაც ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მ. ოყუჯავა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ნ. ლოლაძე, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზ. ვ. ანჩაბაძე, ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ი. ჭანტურიშვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი კ. ს. ვირსალაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ო. გ. ნათიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. გ. კვასოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ნ. შ. ვასაძე, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ე. ნ. გუგუშვილი, სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი ა. ი. ქოზაევი, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალ-მაიორი ი. დ. ზაიცევი, ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ნ. ვ. ვალიშვილი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კრების მონაწილეებმა დაამტკიცეს იმ ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა განახორციელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებების, ივნისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, და მიიღეს მიმართვა საქართველოს უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკისადმი. (საქინფორმი).

ჩვენ ქვეყანაში

რუსეთის სფსრ

ტამბოვი. სახელმწიფო კომისიამ ხელი მოაწერა ურენგოი-პომარი-უჟგოროოდის გაზსადენის ტამბოვის მონაკვეთის საექსპლოატაციოდ მიღების აქტს. ამ 137-კილომეტრიან მონაკვეთზე სამუშაოები შესრულებულია დროულად და ხარისხიანად.

ტამბოვის ოლქის ჩრდილოეთი მხარის რელიეფი, სადაც გადის ტრასა, არ ითვლება განსაკუთრებით ძნელად, მაგრამ მშენებლებს მისი ათვისება არ გაუიოლებიათ. გაზსადენის ტრასის მუშაკებს მოუწიათ გადაელახათ მდინარეები, ჭალები, ხრამები, გაეყვანათ მილები რკინიგზებსა და საავტომობილო გზებს ქვეშ.

გაზის არტერიის მშენებლებს დიდი დახმარება გაუწია კომპლექსურ-ტექნოლოგიური ნაკადის ერთიანმა განწესმა. მისი მეშვეობით აქ მიაღწიეს მუშაობის მაღალ მწარმოებლობას — დღე-ღამეში გაჰყავდათ გაზსადენის ერთი კილომეტრი.

უკრაინის სსრ

ლისიჩანსკი (ვოროშილოვგრადის ოლქი). ლისიჩანსკის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში სამრეწველო ჩამდინარე წყლების გაზსაწმენდად ორთქლი გამოიყენეს. გაცივების შემდეგ ჩამდინარე წყლები გადადის თბოელექტროცენტრალის ქვაბებში, ხოლო მყარი ნივთიერებანი ბუნკერებში გროვდება. საწარმოში ამოქმედებული დანადგარი დღე-ღამეში წმინდავს და საბრუნავ ციკლში აქცევს სამი ათას კუბურ მეტრზე მეტ ჩამდინარე წყლებს.

ლიტვის სსრ

ვილნიუსი. ლიტვის სსრ რესპუბლიკურმა გამომცემლობა „მინტისმა" ლიტვურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის 55-ტომიანი თხზულებათა სრული კრებული ოცდამეექვსე ტომი. გამოცემას ახორციელებს ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

სომხეთის სსრ

რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა ბეღელში დაბინავეს პირველი ათიათასობით ტონა მარცვლეული. მოწეულმა ღონიერმა თავთავმა, მკაცრი ზამთრის შემდეგ, როგორიც სომხეთში თითქმის ასი წელია არ ყოფილა, დაადასტურა ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით მიწათმოქმედების სისტემის დანერგვის ეფექტიანობა. პროდუქტიულობის ზრდას ხელს უწყობს აგრეთვე მოუთესავი ანეულის თესლბრუნვაზე გადასვლა, ჯეშობრივი სტრუქტურის მეცნიერული შერჩევა.

* * *

წარმატებით მიმდინარეობს იჯევან-რაზდანის რკინგზის მაგისტრალის მშენებლობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

დილიჯანის უბანზე მოხდა მიწისქვეშა ტრასის პირველი შეერთება. თითქმის ოთხკილომეტრიანი გვირაბი შედგება სამი დამოუკიდებელი მალისაგან. მშენებლობა უკიურესად რთულ პირობებში წარმოებს.

● **კომის ასსრ.** დროის გასწრებით შრომობენ პეჩორის „ხაპატო ნიშნის" ორდენოსანი სამდინარო სანაოსნოს გემებისა და სანაპირო დაწესებულებების კოლექტივების მშრომელები.

ოთხი ათას კილომეტრზე მეტია პეჩორის სამდინარო ტრანსპორტის მუშაკების საექსპლოატაციო გზები. ისინი ტიმან-პეჩორის ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსის მენავთობეებისა და გაზმომპოვებლების, შორეული ჩრდილოეთის მეთევზეებისა და მეირმეების საიმედო პარტნიორები გახდნენ.

ხუთწლედის მესამე წელს პეჩორის სამდინარო სანაოსნოში რამდენიმე მილიონ ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს გადაამუშავებენ.

სურათზე: პეჩორის სამდინარო ნავსადგური.

● **ლენინგრადის** „სოვტრანსავტო" ერთ-ერთი უდიდესია საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მთავარი სამმართველოს დაწესებულებათა შორის. ამ ხუთწლედის დასაწყისიდან „სოვავტოლენინგრადის" კოლექტივმა, რომლის მანქანებსაც შეიძლება შეხვდეთ ევროპის, აზიის და აფრიკის გზებზე, უკვე გადაზიდა 800 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა ტვირთი. დაწესებულების განკარგულებაშია მძლავრი საწევრები, ნახევრად მახასიათებლები, რეფრიჟერატორები, მძიმეწონიანი კონტეინერების შასები და სხვ. ცოტა ხნის წინ ლენინგრადელმა მძღოლებმა „სოვტრანსავტოში" პირველებმა საერთაშორისო ტრასებზე გაიყვანეს სამამულო საწევრები „მაზ-5432", რომელიც დიდად ხაიმედო და კომფორტულია.

სურათზე: „მაზ-5432" საწევრები რეისში.



● **ვოლგოგრადის** ზუთხსაშენი ერთ-ერთია ქვეყნის ზვიდ ასეთი საწარმოდან. თევზსაშენის პროდუქციაა ზუთხისებრთა ლიფსიტები. საშენი დასპეციალებულია ორ ჯიშზე — ხვიასა და ტარაღანაზე. ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის: შედარებით სიცივის მოყვარული ხვია და სითბოსმოყვარული ტარაღანა საშუალებას იძლევა საშენის სიმძლავრენი სეზონში ორჯერ გამოიყენონ. გაზაფხული და ზაფხულის დამდეგი ხვიის დროა, ხოლო შუა ზაფხული და მისი მიწურული — ტარაღანისა.

თევზსაშენი ყოველწლიურად ვოლგაში 8-9 მილიონ ხვიისა და ტარაღანის ლიფსტატს უშვებს. ზუთხისებრნი იმ თევზებს განეკუთვნება, რომლებსაც დიდი ხანია ძალზე ინტენსიურად იჭერენ. ამის შედეგად მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა, ცალკეულ სახეობებს კი გადაშენების საფრთხე შეექმნა. ჩვენს ქვეყანაში დროულად განხორციელებული ღონისძიებების წყალობით შეძლებით არათუ გადაგვარჩინა ზუთხისებრნი, არამედ გაგვიზარდა კიდეც რუხული ზუთხის, ტარაღანისა და ხვიის რაოდენობა. დღეს მსოფლიოში დაჭერილი ზუთხისებრთა ძირითადი ნაწილი ჩვენი ქვეყნის წილად მოდის.

სურათზე: ინკუბაციის საამქროს უფროსი ვლადიმერ ტკაჩოვი საკონტროლოდ დაჭერილ მოზრდილ ტარაღანებთან.

ვინ როგორ ასრულებს საიუბილეო ვალდებულებებს

გვატყობინებენ საკდესის კორესპონდენტები

პიროგბა გაანალდეს

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისიდან მტკიცედ დადგა წარმოების ინტენსიფიკაციის გზას. აქაური მშრომელები ეხერგიულად იღვწიან და წარმატებებსაც აღწევენ. ახლა მთელ რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის და კომბინატელებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ამ დღისათვის ახალი გამარჯვებები მოიპოვონ.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საწარმოს ასმა თანამშრომელმა უკვე შეასრულა საიუბილეოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. აი ზოგიერთი მათგანიც: მქსოველები ვ. დემირჩევა, ე. ოსეფაიშვილი, დ. თაბეგრიძე, მ. მიქატაძე, ვ. ფირანოვა, ნ. ტატუნაშვილი, მრთველები ნ. ქისტაური, ვ. კუბლაშვილი, მ. მოძღვრიშვილი, მ. პაპკიაური, ც. გოგოლაძე და სხვები.

კომბინატის მთელი კოლექტივი წარმატებით იბრძვის სახელმწიფო დავალებათა უთუოდ და გადაჭარბებით შესრულებისათვის. აქ პროდუქციის დამზადების შვიდი თვის გეგმა 101,2 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 100,8 პროცენტით შესრულდა. საწარმოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციისა და პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვებას. „კომუნისტის" კორ.

მრავალი მისამართით

სკოლებისათვის

თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკამ ახალი სასწავლო წლისათვის ქვეყნის 50 ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში გაგზავნა ახალი კონსტრუქციის მაგიდები, საკლასო დაფები, კარადები. ადრესატებმა —ვლადივოსტოკმა, მურმანსკმა, ტაშკენტმა, ჩელიაბინსკმა და ბევრმა სხვა ქალაქმა — თბილისიდან მიიღეს ერთთვირად მეტი სასკოლო ავეჯი, ვიდრე შარშან.

— ჩვენს პროდუქციაზე დიდმა მოთხოვნამ აიძულა საწარმოს კოლექტივი უფრო აქტიურად ჩაბმულიყო პროდუქციის გამოშვების გაზრდის შინაგანი რეზერვების ძიებაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ფაბრიკის დირექტორმა ს. ჭარჩავამ.— ყველაზე დიდი ეფექტი მოგვაცა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვამ. თუ წინათ ყოველი საამქრო მხოლოდ გარკვეულ ოპერაციას ასრულებდა, ახლა მთელ პროცესს აწარმოებს გადიდებული ბრიგადა, რომელიც პასუხს აგებს საბოლოო შედეგისათვის — პროდუქციის ოაოდენობისა და ხარისხისათვის.

ახლა ფაბრიკის კოლექტივი ითვისებს სასკოლო კაბინეტებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის გამოშვებას, ღირსეულად ხვდება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

მეგოსტნეთა

წინსვლა

სამტრედია (საკ. კორ.). სოფელ გომის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — პ. ნადირაძე) მშრომელებს ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო ტრადიცია აქვთ. გომელები წელსაც, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეოდ, ბარაქიან მოსავალს იღებენ.

თავი გამოიჩინა ხახვის მოყვანმა რგოლმა. დავალებით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად დაამზადეს 420 ტონაზე მეტი საუკეთესო ხახვი. ბოსტნეულის უხვ მოსავალს იღებენ იმ ბრიგადის მებოსტნეები, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მურმან ნადირაძე. შეჯიბრების მოწინავეები არიან მებოსტნეები მ. ქიმუცაძე, გ. ნიკოლეიშვილი, რ. თავაძე, მ. სანიკიძე და სხვები, რომლებმაც სარეკორდო მოსავალი მოიწიეს.

გომელებს გადაწყვეტილი აქვთ წელს ქვეყანას მისცენ სულ ცოტა 6.650 ტონა ბოსტნეული.

„ზარია ვოსტოკას" გამსვლელი რედაქცია

მიმდინარე ხუთწლედში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წინაშე ამსუბსაგები ამოცანები დგას — ქვეყანა მოელის მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს. ამავე დროს საწარმოში რთული ვითარებაა შექმნილი.

იმისათვის, რომ მკითხველისათვის ეამბნა, თუ რა კეთდება რესპუბლიკის უდიდეს საწარმოში ჩამორჩენის დასაძლევად, რა კონკრეტული ღონისძიებები ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, „ზარია ვოსტოკამ" რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მოაწყო გამსვლელი რედაქცია.

გამსვლელი რედაქციის მასალებში ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი რევაზ თბილიძე გვიამბობს საგგმო დავალებათა შეუსრულებლობის მიზეზების, კადრებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების, კოლექტივში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ხარვეზების შესახებ.

გამსვლელი რედაქციის ერთ-ერთი მასალა ეძღვნება მეფოლადე სპანდერაშვილების დინასტიას. სიამაყით იგოგხებს ტარიელ სპანდერაშვილი, თუ როგორ ასწავლიდა მამამისი ამ პროფესიის საიდუმლოებებს. ახლა მას გვერდით მუშაობენ ცოლი და მისი და, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითი დიასტიების სამას სახელს შორის ასახელებენ ძმებს პეტრე და თენგიზ მარუაშვილებს, მეფოლადე უშანგი მარუაშვილის ხელქვეითებს.

რედაქციის მასალების უმრავლესობა ეძღვნება გადასაჭრელ პრობლემებს. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ცენტრალური ლაბორატორიის ელექტროზენკალმა ვასილ ჩიკიკმა, სააგლომერაციო ფაბრიკის ელექტრიკოსმა ალექსანდრე ახვერდიევმა, მილსაგლინავი საამქროს უბნის ოსტატმა ტარიელ აბრამიძემ, ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ ლებანიძემ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია აღმოიფხვრას საწარმოს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი. უზრუნველყოფილ იქნეს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება.

გამსვლელი რედაქციის გვერდზე გაზეთი აქვეყნებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარეკორდო საამქროს მექანიკოს სოციალისტური შრომის გმირის არჩილ ძამაშვილის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ოთარ ლომიძის და მომავალი მეტალურგების ფოტოსურათებს, სხვა მასალებს, (საქინფორმი).

1983 წლის 4 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა

ჩვენი დიდი საზრუნავი

„საქნავთობის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოციალისტურ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს.

მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სამშობლომ გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ნავთობი მიიღო. ამ პერიოდში შედეგიანად მიმდინარეობდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებიც. სამგორ-პატარძეულის დიდებებიანი ნავთობის საბადოს აღმოსავლეთით მდებარე ნინოწმინდის სტრუქტურიდან მიეღეთ სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობის მარაგი. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, მოითხოვა ნინოწმინდის უბანზე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ტემპის გაძლიერება. სასიამოვნოა ისიც, რომ რუსთავის ფართობზე ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოების წარმოებისას № 2 ჭაბურღილის 3.500-3.400 მეტრი სიღრმიდან გამოვლინდა სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობის გაზი. ეს ჭაბურღილი ჩართულია გაზსადენის საერთო მაგისტრალში და ამ სიკეთით რუსთავის სამრეწველო ობიექტები სარგებლობენ. საბადოს ბედღიღბალზე მსჯელობა, ცხადია, ნაწილია. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გაძლიერებით წლის დამლევისათვის რამდენიმე ჭაბურღილის დამთავრებით საშუალება მოგვეცა დავაზუსტოთ ამ საბადოს პერსპექტიულობის საკითხი. ამჟამად ნინოწმინდის უბანზე იბურღება ათი, ხოლო რუსთავის უბანზე — ოთხი ჭაბურღილი.

„საქნავთობის" პოზიციები თანდათანობით მტკიცდება. ეს კი იმ დიდი მზრუნველობის შედეგია, რომელსაც ჩვენდამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო იჩენენ.

მარტო შიდინარე ხუთწლედის 2 წელიწადსა და 7 თვეში ქვეყანას გეგმის გადამეტებით ათობით ათასი ტონა ნავთობი და მილიონობით კუბური მეტრი გაზი გაეგზავნა. შრომის ნაყოფიერების ზრდის დაკალება 103,4 პროცენტით შესრულდა, მოგებამ 160 მილიონი მანეთის ნაცვლად 164 მილიონი მანეთი შეადგინა.

აღნიშნული მიღწევები სრულიად არ გამორიცხავს იმ რთულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენი მოვალეობაა. ლაპარაკია სამგორ-პატარძეულის ნავთობის საბადოს, განსაკუთრებით დასავლეთის თაღის საექსპლოატაციო ჭაბურღილებში შექმნილ სიძნელეებზე, რაც თავის მხრივ, განპირობებულია საბადოს ინტენსიური დამუშავებით. ამიტომ, ჩვენი უპირველესი ამოცანაა შევინარჩუნოთ „შავი ოქროს" მოპოვების არსებული ტემპი ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების შემდგომი აღმოჩენით.

მიმდინარე ხუთწლედში საქართველოში დიდი მოცულობის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები შესრულდება: ღრმა საძიებო ბურღვის მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით 1,5-ჯერ გაიზრდება. ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოთა ათვისებაში ძმურ დახმარებას გვიწევენ გროზნოსა და კრასნოდარის საწარმოო გაერთიანებათა ბრიგადები, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე ჩვენს სპეციალისტებთან ერთად ღრმა ბურღვის სამუშაოს სავახტო საექსპედიციო წესით აწარმოებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიგადები აქ ავტოტრანსპორტით ჩამოდიან და ცვლის დამთავრების შემდეგ კვლავ უბრუნდებიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს.

სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად მიჩნეულია ნავთობისა და გაზის საბადოების გაძლიერებული ძიება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის შექმნა და საერთო ეფექტიანობის ამაღლება.

ამჟამად ინტენსიური გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ღრმა და ზეღრმა ჭაბურღილების გაყვანით 23 პერსპექტიულ ფართობზე მიმდინარეობს. სახელდობრ, აღმოსავლეთ საქართველოს — პატარა შირაქის, ტარიბანის, ბაიდის, ვამლოცვანის, ნინოწმინდის, სამგორ-პატარძეულის, ნაქარალის, თელეთის, სამგორის სამხრეთ გუმბათის, მარტყოფის, რუსთავის, მუხროვანის, აღმოსავლეთ კავთისხევის, ახალქალაქის და დასავლეთ საქართველოს — ოჩამჩირის, მოქვის, ცაიშის, ლესის, ჩოხატაურის, ჭალადიდის, ქვალონის, შრომისუბნის, წყალწმინდის მიდამოებში.

მიმდინარე წლის დამლევამდე გეოლოგიური სამუშაოების დაწყება ღრმა ჭაბურღილების გამოყენებით გათვალისწინებულია აღმოსავლეთ საქართველოს კიდევ რვა პერსპექტიულ უბანზე.

წინასწარი მონაცემებით, მეთერთმეტე ხუთწლედში ნავარაუდევი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მარაგის საგრძნობი ზრდა სწორედ ამ რაიონებში გამოვლენილ საბადოთა ხარჯზე უნდა მოხდეს. ეს კი მოგვცემს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების ტემპის სტაბილიზაციის საშუალებას მომავალი ხუთწლედისათვის. „საქნავთობის" კოლექტივთან ერთად ნავთობის მოპოვების ზრდისათვის იბრძვიან „საქნავთობგეოფიზიკის" ტრესტი, ნავთობის ტრანსპორტის მაგისტრალური მილგაყვანილობისა და მაგისტრალების კავშირგაბმულობის სამმართველოები და სხვ.

შრომითს მეტოქეობაში პირველობენ ლილოს ნავთობისა და გაზის მოპოვების სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს საძიებო ბურღვის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო კანტორის კოლექტივები. საუკეთესოთა შორის არიან ნავთობის მოპოვების ოსტატი ა. . მთაბაშვილი, ღრმა ბურღვის ოსტატები დ. ქამუშაძე, მ. ბუბაშვილი, ა. ლობჟანიძე, ნ. გიორგაძე, ს. ადიკაშვილი, ს. ზუმაევი, გ. ეპიტაშვილი, შ. ჩხეიძე, ი. ბეგიაშვილი, მემანქანე ა. ჯავახიშვილი, მძღოლები მ. ბოლქვაძე, ვ. მაქსიმენკო, კოშამშენებლები ო. ჩუტალაშვილი, ს. ცინცაძე და მრავალი სხვა.

რ. თევზაძე,
„საქნავთობის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

სამუშაო დღე ორბიტაზე

ზრენის მართვის ცენტრი, 2 სექტემბერი. (საკდესი). 66 დღეა „სალუტ-7" ორბიტული სამეცნიერო სადგურის ბორტზე შრომითს ვახტზე დგანან კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი.

განვლილ დღეებში მოეწყო გეოფიზიკური ექსპერიმენტების მორიგი ციკლი, რომელიც მოიცავდა ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ვიზუალურ დაკვირვებას, ფოტოგრაფირებას და სპექტრომეტრირებას. ამ კვლევის დროს გამოიყენებოდა სადგურში დადგმული „მკფ-6 მ", „კატე-140" ფოტოაპარატები, აგრეთვე ელექტრომაგნიტური ტალღების სხვადასხვა დიაპაზონით მომუშავე აპარატურა.

დაიწყო მზადება სადგურის გაერთიანებული ძრავათა დანადგარის სათბობით კმაგაწყობისათვის — დღეს ხორციელდებოდა გამწყობი მაგისტრალების ჰერმეტულობის კონტროლი და საწვავის ავზებიდან შეკუმშული აზოტის გამოტუმბვა.

ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ.

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

გულახდილობის სარკეში...

პირველი ეტაპი, პირველი შედეგები

უკვე მთავრდება ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ჯგუფებში, საამქრო და საბრიგადო ორგანიზაციებში. პარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანი მ. ქორჭაშვილი ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს შ. ბერიძეს იმ ტენდენციებზე, რომლებიც შეინიშნება რაიონში ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის საწყის ეტაპზე.

პარტიის ცაგერის რაიონულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და პარტიულ ჯგუფებში, საბრიგადო პარტიულ ორგანიზაციებში კრებების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის მზადების შესახებ, შეიქმნა რაიონული შტაბი, რომელიც რეგულარულად ისმენს მიმგზავნილი აქტივისტების ინფორმაციებს კრებების მიმდინარეობის შესახებ, ახორციელებს ღონისძიებებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

პარტიულ ჯგუფებში მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნები დამთავრდა 19 აგვისტოსათვის, კრებები გაიმართა 26 პარტიულ ჯგუფში. აღრიცხვაზე მყოფი 175 კომუნისტიდან დაესწრო 161, ანუ საერთო რაოდენობის 92 პროცენტი. კამათში მონაწილეობდა დამსწრე კომუნისტების ნახევარზე მეტი.

პარტჯგუფორგების მოხსენებებსა და კომუნისტების გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებას ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, ახალი ადამიანის აღზრდისა და ნეგატიური მოვლენების დაძლევის პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები წლეულს უფრო კონკრეტულია, ხოლო ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე დასმული წინადადებები გამოირჩევიან თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძღერადობით.

ორგანიზებულად ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება წიფურჩის კოლმეურნეობის პარტჯგუფში, სადაც აღრიცხვაზე მყოფი 13 კომუნისტიდან კრებას 12 დაესწრო. ყურადღება გამახვილდა შრომის ორგანიზაციის გაუჯობესების, მომსახურების სფეროს სრულყოფის საკითხებზე. კომუნისტმა ნ. კოპალიანმა აღნიშნა, რომ პარტიული საქმიანობის გააქტიურებისათვის სასურველია გამოიცეს დამხმარე მეთოდური ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ძირეული რგოლების ხელმძღვანელებისათვის. გააცნობს მათ დადებით გამოცდილებას.

კომუნისტებმა გ. თუთიასმა, ვ. ხაბულიანმა, ვ. უგულავამ გააკრიტიკეს კავშირგაბმულობის კვანძისა და სატრანსპორტო მომსახურების მესვეურები არსებული ნაკლოვანებებისათვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ ვერა და ვერ ააგეს ტელეგადაცემათა გამაძლიერებელი სოფელ ჩქუმში, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებულია ტელეგადაცემათა სიკეთეს.

ორბელის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის პარტჯგუფის კრებაზე კომუნისტმა გ. ბახსოლიანმა აღნიშნა, რომ ჯგუფს ყურადღება გადატანილი ჰქონდა სამეურნეო ამოცანებზე, ხოლო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საკითხები ჩრდილში რჩებოდა. ადგილობრივი ხელმძღვანელების მისამართით აღინიშნა, რომ მეცხოველეობის ფერმები არ მარაგდებიან საჭირო რაოდენობის მედიკამენტებით, საერთოდ არ მზადდება და კოლმეურნეობა ვერ იღებს ცხენების მოგლეობისა და საბალახოების ადგილობრივ ბალანსებზე. ეს ფაქტორები ამცირებენ ცხოველების ნაყოფიერებას, ანელებენ ფერმის ბინების აშენებას, ეწინააღმდეგებიან ფერმის ინვენტარის, ავეჯის, ინვენტარის, ავეჯის, ინვენტარის, ავეჯის,

3 სექტემბერი

ყოველთვიური

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

საჭიროა პოლიტიკური ინიციატივები

ბონი. ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰ.-ი. ფოგელმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. კოლს გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატის შემოსაზღვრელმა კომისიამ მიიღო ორი რეკომენდაცია, რომლებიც 1984 წლის ბიუჯეტის თათბირზე კონგრესის გადაწყვეტილებათა ფარგლებში ახლა კენჭისყრისათვის უნდა შეიტანონ სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში. საქმე ეხება ფულადი სახსრების გამოყოფას ეგრეთ წოდებული ბინალური ქიმიური იარაღის ნეიტრონული ჭურვების წარმოებისათვის.

ორივე გადაწყვეტილება განსაკუთრებით ეხება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებს. ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნეიტრონული იარაღის განლაგების პოტენციური ადგილი გახდებოდა, ვინაიდან ეს იარაღი განკუთვნება შეერთებული შტატების საბრძოლისველო ბირთვული იარაღის კატეგორიის, ეს

ღია წერილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს

ველი კი, უმთავრესად, ჩვენს ტერიტორიაზე მდებარეობს. ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ქიმიურ იარაღისაც ალბათ, თუნდაც ნაწილობრივ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განალაგებდნენ მით უმეტეს, რომ ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ახალი კონცეფციები ასევე ითვალისწინებს მიტანის საშუალებებზე ქიმიური ქიმიენების გამოყენებას ეგრეთ წოდებული აღკვეთის მიზნით.

მასობრივი მოსპობის იარაღის ამ ახალი კატეგორიის დამზადება და მით უმეტეს განლაგება კი არ განამტკიცებს უშიშროებას, არამედ პირიქით, ასუსტებს მას. ნეიტრონული, ისევე როგორც ბინალური იარაღის წარმოებას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი. ამ ახალ სახეობათა შეიარაღებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის შესახებ კონგრესის გადაწყვეტილება არ შეესაბამება არც გერმანელთა ინტერესებს, და არც სწორად გაგებულ დასავლეთის ინტერესებს.

ბუნდესტაგში სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის სახელით ჰ.-ი. ფოგელმა ფედერალურ კანცლერს მოუწოდა დამოვდეს ოფიციალური განცხადებით იმის შესახებ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა უარყოფს ამ ახალი სისტემების განლაგებას დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე. „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისაგან, — ხაზგასმულია წერილში, — ჩვენ მოველით პოლიტიკურ ინიციატივებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმართ, და კერძოდ, ამერიკის კონგრესისადმი მიმართვას, რომელიც გამოხატავდა ჩვენს შეშფოთებას ახალ სახეობათა შეიარაღების წარმოების გამო“.

ამერიკული „დემოკრატია“

მილიონერთა „ციხე-ქალაქები“

ეს არც შუა საუკუნეების ევროპელი რაინდის ციხეა, და არც ძველი აღმოსავლეთის ფადიშაჰების ციტადელი. მაგრამ პატარა, გარეგნულად არცთუ დიდად გამორჩეული ქალაქი ინდიან უელზი, სამხრეთ კალიფორნიაში რომ მდებარეობს, მალე დაემსგავსება მათ, კერძოდ, სულ ცოტა ხანში მას მაღალ გალავანს შემოვლებენ.

ინდიან უელზის მოსახლეობა ათას ხუთას კაცს არ აღემატება, სამგზეიროდ ყველანი ძალზე მდიდრები არიან. „ამ ქალაქის იზოლირებას უკვე ის ფაქტი გაპარობებს, რომ იგი ბევრი მულტიმილიონერისათვის ზამთრის შტაბ-ბინაა, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“. ასეთ დახასიათებას თავისი საფუძველიც აქვს. გასაკვირი არ არის, რომ ინდიან უელზის ბინადარნი დამალვაზე ოცნებობენ და ამასთან სურთ თავიანთი სიმდიდრე მაღალი გალავნით დაფარონ.

ინდიან უელზი პირველი ქალაქი არ არის, რომელიც ფაქტობრივად ყველასათვის დაკეტილია მილიონერებისა და მათი მსახურების გარდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე ასეთი ქალაქია: როლინგ ჰილზი, ჰიდენ ჰილზი და ბრედბერი — „კალიფორნიაში, გოლდენ ბიჩი და ოლფი — ფლორიდაში. იქ შესვლა მხოლოდ მასიური კარიბჭიდან შეიძლება, სადაც სპეციალური შემოწმება ხდება. მცველები დიდხანს ამოწმებენ პირად - საბუთებს, მანქანის სპეციალურ ნომრებს. შემოწმების ცვრომონიას „თვალს არ აშორებს“ სატელევიზიო კამერა. დაცვის ეს-ოდენ გაძლიერებული სისტემა, მაგალითად, ქალაქ როლინგ ჰილზის ბინადართ წელიწადში თითქმის 250 ათასი დოლარი უჯდებათ.

თუმცა კონტრასტები სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის ამერიკაში ყოველთვის თვალში საცემი იყო. მაგრამ გალავანშემოვლებული მდიდართა ქალაქები შედარებით ახალი მოვლენაა. იგი სწორედ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ხელისუფლების სათავეში რეგანის ადმინისტრაცია მოვიდა, რომელსაც შეერთებულ შტატებში „მდიდართა მთავრობას მდიდრებისათვის“ უწოდებენ.

ახლა, რეგანის ორწელიწადნახევრის მმართველობის შემდეგ, ამერიკული ქალაქების დიდი უმრავლესობა მწვავე კრიზისის მარწუხშია მოქცეული, თავიანთი მცხოვრებლების ძირითად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სახსრების ნაკლებობას განიცდიან. მაგრამ მილიონერთა ქალაქებზე რეგანის მმართველობამ კეთილსმყოფელი გავლენა იქონია. შემთხვევითი არ არის, წინასწარმეტყველებს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომ ამგვარი „ციხე-ქალაქების“ სია ამერიკაში უახლოეს დროში ახალი სახელწოდებებით შეივსება.

ამერიკული „დემოკრატია“

ისევ ნასკის ნახატების საიდუმლოების შესახებ

ქვიშნარი დაბლობი პერუს სანაპიროზე ქალაქ ნასოსის მახლობლად უკვე დიდი ხანია ათასობით ტურისტის, მრავალი ქვეყნის მეცნიერის ყურადღებას იპყრობს. 60 კილომეტრი სიგრძის და რვა კილომეტრი სიგანის დაბლობი გაყოფილია პანამერიკული გზატკეცილით, რაც მას ხელმისაწვდომს ხდის წარსულის მოყვარულთათვის. უცნობმა ხელმა ორი ათასზე მეტი წლის წინათ აქ გიგანტური ნახატები გაკეთა, რომლებიც დღემდე აოცებს მკვლევარებს. ვერაფრით ვერ აუხსნიათ, თუ როგორ და რისთვის შექმნეს იგი. ნასკის (ასე ეწოდება ამ ადგილს) უძველესმა მცხოვრებლებმა დაბლობის ზედაპირზე დახაზეს სპირალები, სწორკუთხედები, დახატეს ფრინველები, თევზები, მაიმუნები და სხვა ცხოველები.

ნასკის საიდუმლოების ამოხსნის ორიგინალურ ცდას მიმართა გერმანელმა მკვლევარმა ქალმა, პროფესიით მათემატიკოსმა მარიამ რაიხემ. ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სწავლობდა იგი ნახატებს და ფაქტობრივად თითქმის არ მოუცვლია ფეხი ნასკის დაბლობიდან.., იგი ალიარებს, რომ არქეოლოგი არ არის და მისი გამოკვლევა მხოლოდ იმ სფეროს ეხება, რომლის სპეციალისტიც თვითონ არის, — მათემატიკას. მიუხედავად ამისა მეცნიერის შრომებმა, განსაკუთრებით მისმა ბოლოდროინდელმა დასკვნებმა, ნასკის მკვლევართა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მარიამ რაიხემ გამოაცხადა, რომ მან ამოხსნა ნახატების წარმოშობა და ის საშუალებები, რომლებითაც ისინი იქმნებოდა. როგორ, ვინ და რისთვის — ამ კითხვებზე, მისი აზრით, პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება უახლოეს მომავალში. ნახატებსა და ამ რაიონში აღმოჩენილ სხვა ნაპოვნებზე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი შექმნისას იყენებდნენ საზომ ერთეულს, რომელიც 38 სანტიმეტრს უდრის. იგი შეესაბამება ადამიანის ხელის ცერის წვერსა და იდაყვს შორის მანძილს. მარიამ რაიხემ მას „იდაყვი“ უწოდა.

მარიამ რაიხემ დაადგინა ნახატების კავშირი 29,5 რიცხვთან, რაც მთვარის თვის ხანგრძლივობას შეესაბამება.

და ბოლოს, მას მიაჩნია, რომ პერუს უძველეს მკვიდრთ საკმაოდ ღრმა ცოდნა ჰქონიათ მათემატიკის დარგში, რომელსაც ისინი იყენებდნენ როგორც ნასკის ნახატებში, ისე ტაძრებისა და სასახლეების, ქალაქებისა და გზების მშენებლობაში.

მარიამ რაიხის აზრით, ნახატების შემქმნელები ჯერ მცირე ესკიზებს აკეთებდნენ (ზოგიერთი მათგანის კვალი ამ რაიონში აღმოჩნდა), ხოლო შემდეგ დიდ ფართობზე გადაჰქონდათ. არის, მაგალითად, 200 მეტრი დიამეტრის რამდენიმე წრე, ხოლო ცხოველთა ფიგურები 40 მეტრს აღწევს.

მაგრამ, წინანდებურად ამოუხსნელი რჩება ამ ნახატების დანიშნულება. რაიხის აზრით, ისინი შექმნა ხალხმა, რომელიც მიწათმოქმედებას მისდევდა და მათ იყენებდა როგორც კალენდარს თესვისა და მოსავლის აღების ეს-დების დასადგენად. ასეთ შემთხვევაში ნახატების ასაკი სულ ცოტა ოთხი ათასი წლისა უნდა იყოს, ვინაიდან, მეცნიერთა გამოანგარიშებით, სწორედ მაშინ იყო ცაზე ვარსკვლავების ისეთი განლაგება, როგორიც ნახატებზეა გამოსახული.

მარიამ რაიხე უარყოფს წინათ გამოთქმულ ბევრ ჰიპოთეზას. მაგალითად, იგი არ იზიარებს აზრს, თითქოს ნახატებში თანავარსკვლავედი იყოს გამოსახული.

რაიხე უარყოფს აგრეთვე მეტად გავრცელებულ ვარაუდს, თითქოს ნახატები გაეკეთებინოთ კოსმოსიდან მოსულებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ ნავიგაცია და სწორედ ამიტომ მოხაზეს კონტურები, რომლებიც მაღლიდან კარგად ჩანს.

ნასკის საიდუმლოება საბოლოო ამოხსნას საჭიროებს. მანამდე კი ჰიპოთეზები არ გამოილეკა. (აან).

ტექნიკის სიახლენი

„მოლაპარაკე“ შუქნიშანი

ხმოვან სიგნალიზაციას სულ უფრო ფართოდ იყენებენ იაპონიაში. აქ აქვთ სამზარეულო ქურები, რომლებიც დისახლისს „აცნობებენ“, როდის არის კერძი მზად, ავტომანქანები, რომლებიც „ახსენებენ“ მძღოლს, რომ საჭიროა დამცველი ქამრის მოჭერა.

ამას წინათ კი ქალაქ ურავის ქუჩებში „მოლაპარაკე“ შუქნიშნები დაიდგა. ფიქრზე ჩაწერილი ქალის სასიამოვნო ხმა წითელ და მწვანე შუქზე წარმოთქვამს ორ ფრაზას: „გთხოვთ მოითმინოთ!“.

როგორც ცნობილია, საგზაო სატრანსპორტო ავარიების საგრძნობი ნაწილი ქვეითად მოსიარულთა მიზეზით ხდება. საგზაო პოლიციის აზრით, „მოლაპარაკე“ შუქნიშანი მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. პირველი დაკვირვება ამას ადასტურებს. მალე ასეთი შუქნიშნები ქვეყნის სხვა ქალაქებშიც დაიდგმება.

ექსპედიციები

ვიკინგების ნაკვალევზე

გაგიდული ექსპერიმენტისათვის ემზადებიან ნორვეგიელი მეცნიერები. ჩრდილოეთის პოლუსზე შარშანდელი ექსპედიციის ხელმძღვანელი რაგნარ ტორსეტი აპირებს გაისად დედამიწის შემოვლას გემით, რომელიც ძველი ვიკინგების ხომალდის ზუსტი ასლია. მას აგებენ დანიის ზღვაოსანი ვიკინგების მუზეუმში დაცული გემის ნიმუშის მიხედვით და დაემსგავსება ლეგენდარულ ხომალდს, რომლითაც ლაიფ ერიქსონმა ათასი წლის წინათ იმოგზაურა ამერიკის ნაპირებამდე. ხომალდის სიგრძე იქნება 16,5 მეტრი, სიგანე — 4,5 მეტრი.

ოპერაცია „ვიკინგი“ დაიწყება 1984 წლის გაზაფხულზე.

გუნების საოცრებანი

ნაპოვნიც ამას ჰქვია

გრაჯილიელ ოქროს მაძიებელს ხოსე რიბამარა და ოლივერას ბედმა საოცრად გაუღიმა: სიერა პელადის რაიონში მან ერთბაშად სამი ზოდი იპოვა, რომელთა საერთო წონა ას კილოგრამამდეა. წინასწარი შეფასებით, ნაპოვნი 800 მილიონი კრუზეირო ღირს. როგორც გაზეთები წერდნენ, ნაპოვნი ზოდებიდან ყველაზე დიდი, რომელიც 39.5 კილოგრამს იწონის, მსოფლიოში სიდიდით მეორეა. იგი პირველობას უთმობს მხოლოდ 60-კილოგრამიან „ველკომეს“, რომელიც ავსტრალიაში აღმოაჩინეს. რიბამარის მეორე ნაპოვნი 32,3 კილოგრამს იწონის. მესამე — 19,2 კილოგრამს.

ჩილე

პინოჩეტი ამწვავებს რეპრესიებს

გუშინწინა-პირველი. **პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტური რეჟიმი სულ უფრო სასტიკ რეპრესიებს მიმართავს ჩილელი ხალხის წინააღმდეგ.** მარტო მიმდინარე წელს ქვეყანაში დაატიმრეს დაახლოებით 15 ათასი კაცი. 45 პროფკავშირული ხელმძღვანელი გაგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკებში, რომლებიც შექმნილია მკაცრი ჰავის მქონე უკაცრიელ რაიონებში. აქ ტუსაღებს სასტიკად აწამებენ და აბუჩად იგდებენ. ამ მონაცემებს შეიცავს ჩილეს ადამიანის უფლებათა კომისიის განცხადება, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

დოკუმენტის ავტორები მოითხოვენ დაუყოვნებლივ დაითხოვონ დიქტატურის რეპრესიული ორგანოები, უწინარეს ყოვლისა, უბადალებული ეროვნული საინფორმაციო ცენტრი — პინოჩეტის საიდუმლო პოლიცია, რომლის სინდისზეც არის ათასობით დაღუპულთა სიცოცხლე. ისინი იღვწიან, რათა გაათავისუფლონ პოლიტიკური ტუსაღები, მისცენ ცნობები იმ დაპატიმრებულ ჩილელთა ბედის შესახებ, რომლებსაც ხელისუფალნი „უგზო-უკვლოდ დაღუპულად“ აცხადებენ.

ამერიკელ „ლიბერალთა“ ბანაკში

„ბოლო ბანაკი“ ბოლოს

ნიუ-იორკი. **ამერიკელ „ლიბერალთა“ ბანაკში ბოლოს ბანაკი ბოლოს.** ეს ასეთ დასკვნას ამბობენ ამერიკელ ლიბერალ ინტელექტუალთა ბანაკში. ეს ბანაკი ბოლოს ბანაკი ბოლოს.

„კომუნისტი“ — საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორგანო

საკითხავი



ბუთი წლის წინათ სწორედ ნიკა აგიაშვილმა დამძიმებია რუბრიკა „დღეანდელი ნომრის სტუმარი“. პირველი იგი „გვსტუმრა“ და ჩვენც ვეცადეთ გულის სითბო არ დაგვეკლო სამოცდათხუთმეტი წლის ჭწერლისათვის.

— ახლა ოთხმოც წლისთავს გილოცავთ, ბატონო ნიკა. გეფიცებით, თითქოს არც მოგკლებიათ სიმხნეევე და ყმაწვილური იკისკასე. იქნებ ყველა პირველ სექტემბერს დაბადებული ასეა?

— მოლოცვისთვის დიდი მადლობა, ჩემო ბატონო... ვცდილობ მხნედ ვიყო, მაგრამ წლებს თავისი გაავს, როცა 1973 წლის პირველ სექტემბერს სამოცდაათი წელი მისრულდებოდა, რასაკვირველია, ხუმრობით ვინატრე: ნეტავი ამ სამოცდაათ წელს ეს ერთი არაფრისმაქნისი ნული ჩამოაკლდეს და ზვედი წლის ბალღი გავხდე-მეთქი. საზეიმოდ გამომაწყობდნენ, სასწავლო ნივთებსა და წითელფდიან „დედაენას“ ჩამიწყობდნენ დიდის ტაბლი და თბილი ხელით შეკერილ ჩანთაში და „სასწავლებელში წასაყვანად“ მომამზადებდნენ...

კარგად არ ვიცი და ვერც გავიგე, საიდან და როგორ შეიტყვეს ეს ჩემი ნატვრა-ხუმრობა ჩემმა ძველმა ახკომელმა მეგობრებმა, მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ ჩემი სამოცდაათი წლისთავის გამო საჩუქრად ერთი კარგი და ლამაზად გამოცემული „დედაენა“ არ გამომიგზავნეს!...

კეთილ სურვილებთან და მეგობრულად გამოთქმულ მოსალოცი სიტყვებთან ერთად იმ „დედაენის“ ტიტულზე ლექსად ჩაეწერათ: „გადაშალე თავფურცელი, წაიკითხე: აი ჭიქა, წერას, კითხვას და ანგარიშს სწავლა უნდა ჩვენო ნიკა. უკვე დიდი ბიჭი გვყევხარ, სწავლას მიყევ, ძმაო, ხელი, ფორმა კოხტად ჩაიცვი და სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“. ცხადია, ეს ხუმრობა იყო. კარგ ხუმრობას კი, ...ბა, რა სჯობია. ოღონდ სამოცდაათი და ოთხმოცი წელი არც ისე სახუმარო ასაკია. იგი ძალზე ხანგრძლივი დრო და ჟამია. რამდენი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე, რამდენი გვაქვს მოსაგონებელი და გასახსენებელ-საამბობელი...

— გასახსენებელ-საამბობელს, ზოგ-ზოგს, იმედია, არც ჩვენ დაგვიმალავთ, ბატონო ნიკა, მაგრამ ჯერ ის ბრძანეთ, ამ ხუთი წლის მანძილზე რა სიახლე იყო თქვენს ცხოვრებაში, შემოქმედებაში?

—დავწერე ჩემი „მოგონებების“ უმთავრესი ნაწილი, ვთარგმნე მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი შედევრი — ჟან ჟაკ რუსოს „ეიელი ანუ ახალი ელოიზა“. ჰოდა, რაც მთავარია: შემემატა ორი შვილიშვილი თამუნია და ნიკა.

სმსახური არ გამომიცვლია. გამომცემლობა „მერნის“ ერთგული - ვარ და ისევ იქ ვმუშაობ თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ... ასეა ჯერჯერობით...

უფროს მეგობარზე მოგვითხრობს მისი ამჟამინდელი „უფროსი“, გამომცემლობა „მერნის“ დირექტორი, პოეტი რევაზ მარგიანი:

ამ ბოლო ხანს ხშირად მიხდება მილოცვა ჩვენს ამაგდარ უფროს მეგობრებზე. ჯერი ახლა ნიკა აგიაშვილზე დადგა, რომელსაც დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

მე და ნიკა ერთ ჭერქვეშ ვმსახურობთ. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხედებით ერთმანეთს. ყოველ შეხვედრისას ჩემს სიჭაბუკეში აღმოვჩნდები ხოლმე. მაგონდება ნიკასთან ერთად გატარებული წლები, ახალგაზრდული სალიტერატურო ჟურნალი „ჩვენი თაობა“ („ცისკრის“ წინამორბედი) და მის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდობა. ამ ახალგაზრდებიდან მხოლოდ რამდენიმე შემოვრჩით ჩვენს ნიკა აგიაშვილს. მაშინ ნიკა ჟურნალის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა და ბევრი სიკეთე გვახსოვს მისგან.

იმ წლების ამბები თვით ნიკას აქვს მშვენივრად მოთხრობილი შესანიშნავ და პოპულარულ წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარადი“. ჩემი აწ გარდაცვლილი მეგობრები ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ (მ. გელოვანი, ლ. ასათიანი, ალ. საჯაია, ვ. უბილავა, გ. ნაფეტვარიძე, ა. შენგელია, კ. ხიმშიაშვილი, გ. კალანდაძე, ი. მონეშვილი, გ. ჯაბუშანური, შ. ამისულაშვილი და სხვები), ჩემსავით სიყვარულით მიულოცავნენ ძვირფას ნიკას ამ ღირსსახსოვარ დღეს.

მე და ნიკა ხშირად ვიგონებთ ხოლმე იმ დაუვიწყარი სიჭაბუკის წლებს. მაშინ ნიკა ჩვენზე ბევრად ხნიერი და უფროსი გვეჩვენებოდა, დრო სწრაფად მიდის, მხოლოდ იგი დარჩა ისეთივე, როგორიც იყო ამ ორმოცეოდე და უფრო მეტი ხნის წინათ — საქმისათვის თავდადებული და ენერგიული, დაუცხრომელი და, რაც მთავარია, პრაგმატული ალტკინებითა და შემართებით აღსავსე.

ნიკა თავს არ გვავიწყებს და ჩვენს სალიტერატურო ჟურნალგაზეთებში ხშირად ბეჭდავს მეტად საინტერესო წერილებს, მოგონებებს, რომელსაც ეწაფება ჩვენი მკითხველი.

* * *

სანატრელია, ოთხმოცი წლისა მოიყაროს კაცი, ცხოვრების ოკრო-ბოკრო გზა-შარა გეიაროს, ათას ქარტეხილს გაუძლოს, მილეთის ხალხს შეხვდეს, გაიცნოს, დაიმეგობროს და მაინც თაფლის სანთელივით სუფთად ჩამოღვენთილი, უნინჯო მიადგეს აგერ, ა, საუკუნის კარიბჭეს. თანაც ამ გრძელ გზაზე დღენიადაგ სწამდეს: „ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“. სანატრელია, მაგრამ შეძლებაც ხომ უნდა? ნიკა აგიაშვილმა შეძლო! ახალგაზრდობა დიდად აფასებს მის ნამუსიანად გამოვლილ ცხოვრების გზას, უზადო, გაუცვეთელ ლიტერატურულ გემოვნებას, არპირმოთნეობას.

— მე და ჩემი ტოლები, უმეტესად, ძალიან ცნობისმოყვარენი ვიყავით. მე ახლაც ასეთი ვარ. რომელიმე დარგის სპეციალისტი (ვთქვათ — მკვლევარი, მეცნიერი, რაიმე პროფესიას დაუფლებული) არ ვყოფილვარ და არც მაინტერესებდა ეს. გამოტეხილად რომ ვთქვა, ყველაფრის მოყვარული ,ბახლავართ. ასე ვთქვათ — დილეტანტი, რომელსაც ბევრი საინტერესო საინტერესოდ კი მეჩვენება, მაგრამ ახლა მეორეჯერ ვეღარ მივუბრუნდები. ყოველმხრივ განსაზღვრული და დაკანონებული თავიდანვე არ მიყვარდა.

— ხომ არასდროს გიცდიათ პოეზიაში, ან პროზაში კალამი? თქვენ ხომ სულ ისეთ ხალხში ტრიალებდით...

— ტრიალი რას შველის... მე ჩვენი პრესის ჯარისკაცი ვიყავი, 1925 წლის 8 დეკემბრიდან, ყოველდღიური რომ გახდა „ბახალგაზრდა კომუნისტი“, აი, იმ დღიდან პრესაში ვმუშაობდი. მერე, 30-იან წლებში ქუთაისის საქალაქო გაზეთში გადაგვიყვანეს თბილისიდან რამდენიმე კაცი, შემდეგ ისევ თბილისში დავბრუნდი, ,ურნალების „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციებში...

— თქვენ არა მარტო ჩვენს თაობას, მომავალსაც მშვენიერ საჩუქარს უტოვებთ, ბატონო ნიკა, — მოგონებას იმ, მართლაც, „მარად ჭაბუკ“ მეგობრებზე, რამ მოგაფიქრათ ამ წიგნის შექმნა?

— ეეჰ...თუ სადმე სამართალია, მოგონება იმათ უნდა დაეწერათ ჩემზე. 10-15 წლით უმცროსები იყვნენ... მაგრამ რაკი ასე მოხდა, მე სხვაგვარად არ შემეძლო. ზემოთ გითხარით, რომ ცნობისმოყვარე ვიყავი, ბევრ რამეს ვიწერდი, მეხსიერება ახლაც არ მღალატობს და ზოგი საინტერესო მომენტი ზუსტად აღვადგინე. რაც მთავარია, მასალა მქონდა ბლომად. ვეცადე ცოტა უფრო გამომეჩინა ის ჩვენგან ადრე წასული ბიჭები, თორემ, ისე, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალიოშა საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის სახელებს ვინ დაივიწყებდა. ვგონებ, მე უფრო გამომაჩინეს ჩემმა მეგობრებმა.

* * *

ნიკა აგიაშვილისაგან ჩვენი თაობები იმითაც იქნებიან დავალებული, რომ იმ ბიჭების არც ერთი სიტყვა, არც ერთი ენამოსწრებული ფრთიანი გამოუთქვამი არ დაუკარგავს და „ეპიგრამა — ფუნაგორიებად“ აკიხმა.

ჩემი თანამოსაუბრე ღიმილით მიამბობს, თუ როგორ ეხუმრებოდნენ მასაც „ძმანი მისნი“:

„ომისწინა წლებში (1938-41) ერთსა და იმავე დროს ჟურნალების „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციათა პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი. ახალგაზრდა პოეტმა ალიოშა საჯაიამ „ჩვენი მდივანიკა“ შემარქვა და ასე მომილექსა: „მდივანი გვყავდა ნიკოლა, ვაქებდით — არა იყო რა“. თითო წკიპურტი ყველამ წამკრა, და ჩემს სახელ ნიკას ათასნაირად აბრუნებდნენ და ატრიალებდნენ. მაგალითად, ლიტრაბოტნიკა, ნასლედნიკა, რაზბონიკა, კლუბნიკა (ეს ნიკას სახელობის კლუბი იყო!) პონედელნიკა და ა. შ. გალაკტიონი ოქრონიკას მეძახდა. ბოლოს, ალო ასათიანმა ასე ჩამოაყალიბა: „ნიკა, ნიკა, მდივანიკა, სეკრეტარო მესიანჩნიკა, ოქრონიკა, ი. პანიკა, შე საბრალო ციგანიკა. მუდამ იყავ ბიჭი ნიკა, ცინიკა და რაზბონიკა, ახლა გახდი კლიაუზნიკა და ცოტათი დვურუშნიკა“. ასე რომ, ხელი არავის დაუკლია და ეს ამბავი დღესაც გრძელდება. მეც ვიფერებ და მიხარია კიდეც. ჯანსაღ, კარგ ხუმრობას რა სჯობს.

— ერთი ასეთი რამაც მსმენია ბატონო ნიკა: „აგიაშვილსა ნიკასო არ ნაყვარება პიკასო“... ყოველთვის ვფიქრობ, ეს შეხუმრება მარტო რითმების გამო არ უნდა ჰქონდეს გამოთქმული ავტორს და, ალბათ, თქვენი ხასიათიც ჩანს, რომ ყველაფერს და ყველას ასე იოლად ვერ ეგუებით...

— შეიძლება. დღესაც. ...ზე მეტად სუსტი და უგემოო ნაწარმოებები (ლიტერატურასა და ხელოვნებაში) მიშლის ხელ-ვებს. ამ შემთხვევაში ...ი სახელის (ნიკასო) და მისი კეთილის (პიკასო) ბრალია ყველაფერი, ასე შესარიმოვად რომ მიესადაგა ერთმანეთს, ,ორეკ ...ვინ მე, დიხაშხოელი კაცი და ვინ — ის გენიალური შემოქმედი!

— თქვენ დიხაშხო ახსენეთ...

— დიახ, ალბათ იცით, არის ასეთი სოფელი ვინის რაიონში. იქ დავიბადე. ძველი ოჯახი იყო, 22 სული ვცხოვრობდით ერთად. თუ გინახავთ, საოცარი ხედები ჩანს ჩემი სოფლიდან: რიონის ჭალები, კავკასიონი, გურანა და სამეგრელო... დიხაშხოში მაშინ სკოლა არ იყო და დაწყებით სკოლაში სალხინოში დავდიოდი სამ კილომეტრზე. მასწავლებლებიდან რუსული ენის მასწავლებელი გალაკტიონ ნამიჭეიშვილი დამამახსოვრდა ყველაზე უფრო. სხვათა შორის, იგი გალაკტიონის დეიდაშვილი იყო, პოეტზე უფროსი. სწორედ დისწულის საყვარულით დაურქმევია დიდი პოეტის დედას — მაკრინეს შვილისათვის გალაკტიონი. ეს, მოგვიანებით თვითონ პოეტისაგან გავიგე.

— ბატონო ნიკა, თქვენთან საუბარს რა სჯობს, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ჩვენი დრო ამოიწურა“ და იმედს ვიტოვებ, რომ ხუთი წლის შემდეგ, 85 წლისთავზე ასევე მხნედ იქნებით და უფრო მეტ რამეს გვაამბობთ. ახლა კი ის გვითხარით, რას გვპირდებით უახლოეს ხანს?

— ალბათ, მოვესწრები — 1984 წელს „საბჭოთა საქართველო“ სცემს 25 თებერვალ წიგნს: ესაა ეწოდება „პირად-პირადი“, ეს იქნება იმ სხვადასხვაფერადვან წერილთა, მოგონებათა და სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებული, რომლებიც დაიბეჭდა ჩვენს პერიოდულ პრესაში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე. აქ შეკავშირებულია ჩვენს მწერლებზე (გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე იმგროოა, ნიკო მარეშვილი, ნინო თარეშვილი, ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი, გიორგი შატბერაშვილი და სხვ.), ნაწყვეტი მოგონებათა წიგნიდან „ზვირთი წუთისოფლისა“, რამდენიმე თავი „ჭაბუკებიდან“ და ა. შ. ეს იქნება, ასე ვთქვათ, ძალზე ფერად-ფერადი შინაარსისა და რაობის შემცველი წიგნი, ამიტომაც მას „პირად-პირადი“ ერქმევა, რადგან, როგორც სულხან საბა ორბელიანი ამბობს, გვაუწყებს და განმარტავს: „პირად-პირადი“... ესე არს სხვადასხვა-რიგი, თუ სხვადასხვა ფერად-ფერადი“.

ამგვარადვე მიმართავენ და იყენებენ ამ სიტყვას ჩვენი მწერლობის დიდოსტატებიც. მაგალითად, ვასილ ბარნოვი: „ცხენები იყვნენ **პირად-პირადი** ფერისა და აგებულების...“ იგივე ავტორი: „ზომაღდი ოდგა მოკაზმული **პირად-პირადი...**“.

ამასთან, მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს, რომ ყოველივე აქ ნათქვამი და მოთხრობილი, სწორედაც რომ, თავად ავტორის მიერ პირადად განცდილ, მისგან ნასმენ-ნანახსა და სარწმუნო ამბებს ემყარება. ამის გამო, ასეთი სათაური საჩოთიროდ და უცნაურად, მგონი, არავის მოეჩვენება.

* * *

საუბრისას ხშირად იხსენებდა ბავშვობის დღეებს, გაფრენილ სიყმაწვილეს. ნაღვლიანად ჩაუცრთო ერთგან: — მე კი არა, ვინ არ მენატროდა იმ დღეებს, გახსოვთ გალაკტიონი? „ნეტავი ვიყო პატარა ბავშვი, მხოლოდ დღევანდელ გამოცდილებით“.

მართლაც, ვინ არ შენატრის, ბატონო ნიკა, იმ პირველყოფილ სიწმინდეს, მაგრამ როგორ დაიწყებდა ცხოვრებას თავიდან მავან-მავანი? ერთი მჯერა: თქვენ ისევ ასეთი ნიკა აგიაშვილი იქნებოდით, რომელსაც სული მისცა განგებამ „უსაეტაკეს თოვლისა“, მეგობრებისათვის თავდადება და ზრუნვა, ქვეყნის სამსახური ასწავლა მშობელმა მიწამ და ახალი საუკუნის კარიბჭესთან პირნათელი მიიყვანა.

ვილენ მარდალეიშვილი.

საპოვნელა

წარდგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაზე

ძველი თბილისის შემოგარენში, ჩოქურთმიანი აივნით დამშვენებული ორსართულიანი სახლი გვი ყანდარელის მყუდრო სავანე და მეუბათა ლამაზი სამფლობელოა. არწივის საფრენ სიმაღლიდან გადახედავს მხატვარი თბილისის სივრცეს და ათას ოცნებათა სამყაროში გაეხვევა, მერე ამ ფერების, ამ სილამაზის ეში გადააქცევს ქაღალდზე, ქსოვილზე... ვერ გავბედავ და არც შემძლია სპეციალისტის თვალით შევხედო ან შეავფასო ამ გარდასახვის სიდიადე. მე მხოლოდ ჩვეულებრივი მნახველის განცდითა და გრძნობით ვუყურებ, ვუყურებ და ვტკბები, რადგან გვი ყანდარელი უფლორიგად ჩემისთანებისათვის ამეტყველებს ქსოვილს, ამღერებს აკვარელს. მე და ჩემისთანები ჰყავს მხედველობაში, როცა შემოქმედების ენით ჩვენამდე სურს მოიტანოს და გვაჩვენოს ცხოვრების სილაღე, სილამაზე — ფერებში, ხაზებში, სიწმინდე და ჰაეროვანი სიმსუბუქე შემოგვთავაზოს, აგვამაღლოს და გაგვალამაზოს.

ჩემთვის გვი ყანდარელის აკვარელის კოლორიტულობა სრულიად ესატყვისება გობელენის მხატვრულ გამოსახველობას. სწორია როცა ამბობენ, ყანდარელის აკვარელში არისო იმპრესიონისტული არტისტიზმი. მაგრამ არა მგონია ბუნების მრავალსახოვნებისა და მრავალფეროვნების მძაფრი შეგრძნება, ელფერისა და ოერის სწრაფი მიგნება ნაკლებად იყოს აღბეჭდილი მის გობელენებში. „წელიწადის დრო“, „გმადლობთ“, „მშვიდობის მტრედები“, „ბალადა ფიროსმანაშვილზე“ ისეთივე რომანტიკითაა სავსე, ისეთივე ექსპრესიით არის გადმოცემული ფერ-სინთალის დიდი სიმფონია და სიცოცხლის აზრი, როგორც მისი აკვარელით შესრულებულ პეიზაჟებში, სადაც საყვარელი კახეთის მთები და ველები, თბილისის კუთხე-კუნჭულები და დაკლაკნილ ქუჩაბანდებია ასახული („ძველი თბილისი“, „ალავერდი“, „მთების პეიზაჟები“ და სხვ.).

ჭეშმარიტად, სახვითი ხელოვნება უდევს საფუძვლად მისი გობელენის მხატვრულ ენას და კიდევ: დიდი მოქალაქეობრიობა, საზოგადოებრივი ღირსება, მტკიცე და უდრეკი პოზიცია, ისეთი, როგორც შეშვენის ჩვენი დიდი საქმეებისათვის თავდადებულ შემოქმედს, შემართებულ რაინდს, დიდი და მაღალი სულის პიროვნებას. ღრმა ,ბრთან ერთად სამშობლ ო ს უდიდესი სიყვარულია ჩაქტომ არის იგი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანი, ამიტომაც არის წარდგენილი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

მიუხედავად დიდი და ძლიერი კვალისა, რომელიც დატოვა მისმა შემოქმედებამ ჩემში, ამავსო და ამამაღლა, აღტაცების საგანი ეს არ არის ამჟამად.

ერთი რამ აშკარად უნდა ითქვას: როცა გამოჩენილ ადამიანზე წერენ, ქვეყნისა და მამულის წინაშე მის ღვაწლს წარმოაჩენენ, მეტწილად აირჩევენ ხოლმე მისი შემოქმედებითი აღმაფრენით სავსე ცხოვრებას, ხოლო ჩვეულებრივ, ადამიანურ ღირსებებს, რომელთა გარეშე არც შეიძლება რაიმე ღირებულის შექმნა, მკრთლად ან სულაც აღარ ახსენებენ ხოლმე. დასანანია ეს.

გვი ყანდარელის — ადამიანისა და მოქალაქის ვიკაკეური ბუნებისა და შემართების კაკს გაიჩნია პატრიოტული სულის ის დიდი თვისებაც, რომელსაც თავისი საყვარლობასა და თავდადებას — მამულიშვილურ ქვეშმორქმედებას.

მხატვრისა და მამულიშვილის გვერდით სხედან ახლა დიანა, საღლმე, ორი თამარი, სოფიკო. შემოქმედებითი ბედნიერების მაძიებარ ბევრ სხვა ყმაწვილსაც გაუვლია საპოვნელას განსაწმენდელი. სხედან და მუშაობენ აღტაკეებით, გზნებით, რადგან ყანდარელი მათ ესაუბრება, როგორც თანატოლებს შემოქმედებითს საქმიანობაში, ახალგაზრდული ენერგიით მათთან ერთად ეძიებს, ქნნის და ისევ ეძებს. ყმაწვილები მისგან სწავლობენ არა მარტო ოსტატობას, შრომისმოყვარეობას, დაუდგომელ ძიებას, საკუთარი ხელწერითა და მანერით ცხოვრებაში გასვლას, არამედ მამულის უსაზღვრო სიყვარულს, მისთვის თავდადებას, კაცთმოყვარეობას, სულის სიწმინდეს, ადამიანისადმი თანაგრძნობას, თანაგანცდას, გვერდში ამოდგომას.

მე პირადად ეს მომაჩნია ხელოვანის, ნათელი პიროვნებისა და მოქალაქის უპირველეს მოვალეობად, ცხოვრების მიზნად და დანიშნულებად.

ამიტომ მიმიხარია საპოვნელასაკენ — ვინ მოიძია გვი ყანდარელმა, ვის დაადგა თვალი შემოქმედმა, ვინ მიიწვია თავისთან სახელოსნოში. რასაკვირველია, ყანდარელისათვის სულაც არ არის აუცილებელი ყმაწვილებმა იარონ მისი განხრითა და მისი არჩევანით. მთავარია გაგრძელონ შემოქმედება, იარონ, მიაღწიონ.

სიკეთემ უნდა